ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე მიზნობრივი სამეცნიერო–კვლევითი პროგრამის ფარგლებში სამეცნიერო საგრანტო კონკურსის პირობები და ჩატარების წესი

პრეამბულა

მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროგრამების დაფინანსების მიზნით ჩასატარებული საგრანტო კონკურსის მიზანია ხელი შეუწყოს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე (შემდგომში ფაკულტეტი) მიმდინარე სასწავლო-სამეცნიერო პროცესის სრულყოფას და სამეცნიერო კვლევებში სტუდენტების მაქსიმალურად ჩართვას.

პროექტი უნდა ითვალისწინებდეს შედეგების საპრეზენტაციო ღონისძიებებს პროექტის დასრულებიდან 12 თვის განმავლობაში:

ა) გრანტის მიმღები ჯგუფის მიერ საერთაშორისო რეცენზირებად ჟურნალში სამეცნიერო პუბლიკაციის წარდგენას.

ბ) კვლევის შედეგების წარდგენას ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევით სემინარზე.

1. ზოგადი დებულებები.

1.2. მიზნობრივი სამეცნიერო კვლევითი პროგრამის ფარგლებში სამეცნიერო გრანტების გასაცემად კონკურსის ჩატარების წესს განსაზღვრავს ფაკულტეტის საბჭო თსუ რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2015 წლის 23 დეკემბრის №:39/04 ბრძანების საფუძველზე.
1.4. მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების დასაფინასებლად 2016 წელს ფაკულტეტებისთვის გამოყოფილია 85 000 ლარი, აქედან არანაკლებ 75 000 ლარისა მოხმარდება უშუალოდ ფაკულტეტის ფარგლებში განსახორციელებელ საქმიანობას, ხოლო არა უმეტეს 10 000 ლარისა გამოყენებულ უნდა იქნას ინტერდისციპლინური კვლევების განსახორციელებლად თსუ-ს სხვა ფაკულტეტთან/ფაკულტეტებთან ერთად. პროექტის ხელმძღვანელი უნდა იყოს კონკრეტული ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი.

2. საგრანტო კონკურსში მონაწილეობა.

2.1. მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების დაფინანსება ხდება კონკურსის წესით. კონკურსის პირობებსა და ჩატარების წესს ადგენს ფაკულტეტის საბჭო.
2.2. ერთი პროექტის ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 12 500 ლარს ფაკულტეტის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტისთვის და 10 000 ლარს - ინტერდისციპლინური კვლევითი პროექტისთვის.
2.3. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიურ პერსონალს და აქტიური სტატუსის მქონე სამივე საფეხურის სტუდენტებს.
2.4. პროექტში სავალდებულოა არანაკლებ 2 სტუდენტის ჩართულობა.

2.5. ინტერდისციპლინურ პროექტში სავალდებულოა თოთოეული ფაკულტეტიდან, სულ მცირე, 1 აკადემიური პერსონალისა და 1 სტუდენტის ჩართულობა.
2.6. პროექტში ჩართულ საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სტუდენტებს, სწავლების საფეხურის შესაბამისად, უნდა ჰქონდეთ:
ა) ბაკალავრიატის სტუდენტს – არანაკლებ 150 კრედიტისა, GPA-ის რეიტინგი - არანაკლებ 3.0;
ბ) მაგისტრატურის პირველი კურსის სტუდენტს – არანაკლებ 30 კრედიტისა;
გ) დოქტორანტებს პროექტში მონაწილეობა შეუძლიათ მეორე სემესტრიდან.
ე) სტუდენტს მონაწილეობა შეუძლია მხოლოდ ერთ პროექტში; პროექტში მონაწილე სტუდენტის ჩანაცვლება სხვა სტუდენტით შესაძლებელია ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით.
2.7. დაფინანსებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტის მიმდინარეობასა და შედეგებზე მონიტორინგს ახორციელებს ფაკულტეტის საბჭო ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის მეშვეობით, რომელიც უზრუნველყოფს პროექტის მიმდინარეობის პროცესში შუალედური და საბოლოო ანგარიშების წარდგენას ფაკულტეტის საბჭოსთვის.
2.8. პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი წარმართავს პროექტის მიმდინარეობას, პასუხისმგებელია პროექტის სამეცნიერო შედეგებსა და პროექტით გათვალისწინებული საქმიანობის ანგარიშგებაზე;
2.9. ერთი და იგივე პირი ერთსა და იმავე დროს არ შეიძლება ხელმძღვანელობდეს ერთზე მეტ პროექტს.
2.10. პროექტში ჩართული აკადემიური პერსონალის (პროფესორის/პროფესორების) ჯამური შრომის ანაზღაურება არ უნდა აღემატებოდეს პროექტის ბიუჯეტის 30%-ს.

3. საკონკურსო პროექტის ფორმატი და დოკუმენტების წარდგენა

3.1. პროექტის მაქსიმალური ხანგრძლივობა განისაზღვრება 2016 წლის 20 დეკემბრამდე.
3.2. საკონკურსოდ წადგენილ უნდა იქნეს პროექტის ბეჭდური და ელექტრონული (CD დისკზე) ვერსია, რასაც თან ერთვის:
ა) პროექტის მონაწილეთა განცხადება (იხ.დანართი N1);
ბ) პროექტის განაცხადი (დანართი N2) ;
გ) პროექტში მონაწილე აკადემიური პერსონალის CV;
დ) პროექტში მონაწილე სტუდენტებისთვის - ცნობა მათი სტატუსისა და აკადემიური მოსწრების შესახებ (ამონაწერი სტუდენტის ბარათიდან).
3.3. საპროექტო განაცხადი წარდგენილ უნდა იქნეს ფაკულტეტის კანცელარიაში ელექტრონული და ბეჭდური სახით 2016 წლის 22 თებერვლიდან 26 თებერვლის ჩათვლით 10 სთ-დან 18 საათამდე.
ა) წარდგენილი პროექტების ტექნიკური შემოწმება (29 თებერვალი - 2 მარტი) და ხარვეზის არსებობის შემთხვევაში პროექტის ხელმძღვანელის ინფორმირება პროექტის კორექტირების მიზნით ევალება ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურს.
ბ) კორექტირებული პროექტების მიღების ვადად განისაზღვროს პერიოდი 2016 წლის 7-9 მარტი.
გ) საკონკურსო პროექტების შეფასება მოხდება 9 მარტი- 16 მარტი პერიოდში.
დ) საგრანტო პროექტების შეფასების კრიტერიუმების შესამუშავებლად შეიქმნება კომისია, ყოველი ინსტიტუტიდან თითო წარმომადგენლით. აღნიშნული კომისია წარადგენს შემუშავებულ კრიტერიუმებს არაუგვიანეს 10 თებერვლისა. კრიტერიუმები განთავსდება ფაკულტეტის ვებგვერდზე 11 თებერვლიდან. იგივე კომისია შეასრულებს სააპელაციო კომისიის ფუნქციას.
ე) პროექტები ფასდება შესაბამისი ინსტიტუტების ფარგლებში საფაკულტეტო კრიტერიუმების საფუძველზე.

ვ) ინფორმაცია კონკურსში გამარჯვებული პროექტების შესახებ განთავსდება ფაკულტეტის ვებგვერდზე 17 მარტს, ხოლო საბოლოო ინფორმაცია - 24 მარტს.
ზ) სააპელაციო პერიოდად განისაზღვროს 16-23 მარტი.

4. პროექტის შესრულების ვადები

პროექტის შესრულების ვადები განისაზღვროს შემდეგნაირად:
ა) პროექტის დასაწყისი – არაუადრეს 2016 წლის 15 აპრილისა;
ბ) პროექტის დამთავრება – არაუგვიანეს 2016 წლის 26 დეკემბრისა.

5. პროექტის დაფინანსება და შესრულების მონიტორინგი.

ა). პროექტის დაფინანსება განხორციელდება ტრანშებად, პრინციპით - პირველი ტრანში არაუმეტეს 40%-ისა, მეორე ტრანში - არაუმეტეს 50%-ისა პროექტის პირველი ნაწილის ფინანსური და პროგრამული ანგარიშის წარდგენის საფუძველზე, მესამე ტრანში - არაუმეტეს 10%-ისა პროექტის წარმატებით დასრულების შემდგომ.
ბ) ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხორციელდება მონიტორინგი.
გ) პროექტი ჩაითვლება დასრულებულად, თუ ფაკულტეტის საბჭოს წინაშე წარდგენილია პროექტის ფინანსური და პროგრამული ანგარიშები და პროექტი არ არის შეჩერებული ან შეწყვეტილი.

იხილეთ დანართები:
N1- განცხადების ფორმა (მიმართეთ კანცელარიას)
N2 - საგრანტო განაცხადის ფორმა